

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრი: მარიამი ხეთაგაშვილი
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**228927481**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლები**
ფაქტობრივი მისამართი	**დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლები**
საფოსტო ინდექსი	**1700**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**boslebi.school.ge; skolebi.emis.ge - https://bit.ly/4qxUzIb**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Boslebi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №1719907 03/12/2025 წელი
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	25, 26 დეკემბერი, 2025 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 22 დეკემბერს გამართულ ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე სკოლას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის დეკემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.
გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, სკოლის მატერიალური რესურსი, შეისწავლა დამატებითი მტკიცებულებები, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
75	58

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 30 იანვარს N6 26 0000089655 კორესპონდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესრულების მტკიცებულებები რამდენიმე ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული. ინდიკატორი 1.2.1.1, 3.1.1.1. და 3.4.1.2.-თან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება და ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში, ინდიკატორები 1.1.1.4; 1.2.2.4; 3.4.1.1; 3.5.1.1. და 4.2.3.2. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

აქედან გამომდინარე, კომპონენტები: 1.1., 1.2., 3.4., 3.5 და 4.2. მეტწილად შესაბამისია, ხოლო კომპონენტი 3.1. სრულად შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - სექტემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო სკოლის სახელწოდებისა და სტატუსის გათვალისწინებით.***
ინდიკატორი N1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	***სკოლამ,*** *შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 29 სექტემბრამდე),* ***სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - დეკემბერი, 2026),* ***მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს*** ⇒ ***სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება;*** ⇒ ***სკოლის ტერიტორიის ფართობის შემოსაზღვრა საჯარო რეესტრიიდან ამონაწერის შესაბამისად.***

	დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - დეკემბერი, 2026),* ***ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მოიყვანოს სკოლის კუთვნილი ინფრასტრუქტურის ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში.***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.4.2.3.2	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია,*** *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - სექტემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს მოსწავლის შეფასების შედეგად დაკისრებული ვალდებულების შესრულება და ენისა და მეტყველების სპეციალისტის მომსახურების მიწოდება სსსმ მოსწავლისთვის.***

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება მათი ფუნქციები, პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები და სხვა. რათა, სამუშაოს აღწერილობა განიხილებოდეს რეგულარულად (სულ მცირე წელიწადში ერთხელ) იმ ადამიანთან ერთად, ვისაც ეს პოზიცია უკავია და იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებსაც, სავარაუდოდ, ამ როლის მიმართ აქვთ მოლოდინები.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	სკოლას მიეცა **რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სასურველია, სკოლის საქმისწარმოების წესში გაიწეროს მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის N06/ნ ბრძანების „მოსწავლის პირადი საქმის ფორმის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" თანახმად და იმოქმედოს შესაბამისად.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სასურველია, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის შიდა წესიდან სკოლამ ამოიღოს რეგულაცია, რომელიც ეხება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტას სწავლის გადასახადთან დაკავშირებული ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში.
ინდიკატორი N 4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა, შედეგების ანალიზის დოკუმენტირება და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 30 იანვრამდე უნდა უზრუნველჰყოს სკოლის საევაკუაციო გეგმის გამოკვრა სკოლის შენობის სხვადასხვა ნაწილში	შესრულებულია
		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 28 თებერვლამდე უნდა წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის მდგრადობის დოკუკემტი	შესრულებულია
		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 31 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 18 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგები	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 20 დეკემბრამდე უნდა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.	შესრულებულია
		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდის შექმნა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდის შექმნა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2023 წლის 31 დეკემბრამდე უნდა	შესრულებულია

	სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდის შექმნა	

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა: მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში, ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლებით, აღვზარდოთ ტოლერანტი, კონკურენტიანი, გლობალური, სათემო და სახელმწიფოებრივი ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები. სკოლის ხედვაა: სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების სკოლა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომების ერთობლიობით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეულ კავკასიის რეგიონსა და მსოფლიო შრომით ბაზარზე. სკოლის ღირებულებები: 1. თანამშრომლობა; 2. გუნდურობა; 3. გამჭირვალობა; 4. დემოკრატია; 5. ობიექტურობა; 6. განვითარება 7. ინოვაციურობა.
   ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლას მისიაში გაცხადებული აქვს, რომ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს გარემოში ადაპტაციას, კონკურენტიანი, გლობალური, სათემო და სახელმწიფოებრივი ღირებულებების დამცველი,

მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდას. ხედვით კი სკოლა აცხადებს, რომ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებით.

ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 17 ნოემბრის N2-42 ბრძანება), სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების კომისიის ჯგუფის შექმნის შესახებ N2 - 40 24. 10. 2025წ. ბრძანება, კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები. ბრძანების მიხედვით სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ პედაგოგებმა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი). სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებაში, წარმომადგენლობითი პრინციპი (დირექციის წარმომადგენელი, თანამშრომელი, მშობელი, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლე) არ არის გათვალისწინებული (მეთოდოლოგიის მუხლი N5). ბრძანებაში არ ჩანს ჯგუფის შესასრულებელი სამუშაო, უფლებამოსილების ვადა და სხვა საკითხები (მეთოდოლოგიის მუხლი N6).

ხარვეზი: სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშვების ჯგუფი არ მოიცავს, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ, სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, და ვიზიტის შემდგომ წარმოებული დოკუმენტაცია. კერძოდ: ცვლილება სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში (ბრძ. #2-74. 28/01/2026) და მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება #2-75. 28/01/2026, სადაც განსაზღვრულია ამ პირთა პოზიციები და მათი უფლებამოსილების ვადა. დაწესებულების პოზიცია და შესრულების მტკიცებულებები გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსია შეხვედრებზე გაუზიარა სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს დადასტურდა მისიის, ხედვის, ღირებულებების ცვლილების შესახებ

ინფორმაცია მიწოდების ფაქტი, თუმცა, სამუშო ჯგუფის ოქმი N1 04/11/2025 არ ფიქსირდება ფილოსოფიის პროექტის გაცნობის ფაქტი. სამეურვეო საბჭოს ოქმი N8 11.11.2025 არ ფიქსირდება ფილოსოფიის დოკუმენტში ცვლილების გაცნობა.

ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება საჯარო რეესტრის ამონაწერში მოცემულია როგორც „ბოსლების საჯარო სკოლა“. სკოლის სახელწოდება საჯარო რეესტრის ამონაწერში არ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად საჯარო რეესტრში სკოლის სახელწოდების ცვლილებას განახორციელებს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - სექტემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო სკოლის სახელწოდებისა და სტატუსის გათვალისწინებით.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 17 ნოემბრის N2-42 ბრძანება)*
- *სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების კომისიის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N2 - 40 24/10/2025წ.*
- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები;*

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
- *სკოლის ვებ გვერდი https://bit.ly/4qxUzIb*
- *გრძანება #2-74. 28/01/2026 მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის შესახებ;*
- *გრძანება #2-75. 28/01/2026 სკოლის ფილოსოფიის შემუშვების ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ **არ შეესაბამება**

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის N2-42 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმარება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია ემყარება სასკოლო საზოგადოების კომუნიკაციას, კერძოდ სკოლა იწვევენ საერთო მშობელთა კრებას, შემდეგ იხილავენ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხებს, მსჯელობენ და აკეთებენ დასკვნებს, იღებენ გადაწყვეტილებებს. სკოლის საჭიროებებს ადგენენ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებული აქვს სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 11 ნოემბრის N-8 ოქმის სხდომაზე.

   ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 11 ნოემბრის N8 ოქმის სხდომაზე.

   ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, შესრულების ანგარიშებს.

   ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მუხლი 11 მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების ნდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშ(ებ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.
   ინდიკატორი 1.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ოქმები. სკოლას მონიტორინგი განხორციელებული აქვს მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმე დო გეგმა გამომდინარეობდა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი, რადგან სკოლას 2025 წელს დამტკიცებული აქვს ახალი შვიდწლიანი (2025-2032 წლები) სტრატეგიული განვითარების გეგმა.

   ინდიკატორი 1.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროდ არის გამოქვეყნებული ვებ. გვერდზე.

   ინდიკატორი 1.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) რევიზიის შემდეგ გააუქმა 2023-2030 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და 2025 წლის ნოემბერში დაამტკიცა 2025-2032 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 და 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმები და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. 2024-2025, 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმები ეფუძნება სხვადასხვა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების შესრულების შედეგები არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად ამ ეტაპზე შედეგების სისტემატური გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში შეზღუდულია. შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ვერ დგინდება.

   ხარვეზი: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ***შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 29 სექტემბრამდე) სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2024-2025) მონიტორინგის ანგარიში;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ **არ შეესაბამება**

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება, რომლის თანახმად სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული აქვს შემდეგი პოზიციები: დირექტორი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ბუღალტერი, 2 დამლაგებელი, 3 დარაჯი და 2 ცეცხლფარეში და 17 მასწავლებელი. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება მათ სტატუსს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''. მრჩეველთა საბჭო ფუნქციონირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #06/ნ ბრძანების თანახმად. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლაში დასაქმებული იყო საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პირი და მათთან გაფორმებული იყო შრომით ხელშეკრულებები. წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა გაწერილი მათი ფუნქციები, გარდა ცეცხლფარეშისა.

ხარვეზი: საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 ცეცხლფარეშის ნაცვლად, შრომით ხელშეკრულებაში ერთი და იმავე ფუნქციებითა და სამუშაო პირობებით, ერთ პირთან მითითებულია პოზიცია - გაზოპერატორი. სკოლის ბუღალტრისა და ექთნის ხელშეკრულებებში არ არის მითითებული მათი თანამდებობრივი სარგო.

რჩევა: სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება მათი ფუნქციები, პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები და სხვა. რათა, სამუშაოს აღწერილობა განიხილებოდეს რეგულარულად (სულ მცირე წელიწადში ერთხელ) იმ ადამიანთან ერთად, ვისაც ეს პოზიცია უკავია და იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებსაც, სავარაუდოდ, ამ როლის მიმართ აქვთ მოლოდინები.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, და ვიზიტის შემდგომ წარმოებული დოკუმენტაცია. კერძოდ: გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც გაზოპერატორის ნაცვლად, მითითებულია საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიცია - ცეცხლფარეში. ასევე, სკოლის ბუღალტრისა და ექთნის ხელშეკრულებები, სადაც მითითებულია მათი თანამდებობრივი სარგო.

დაწესებულების პოზიცია და შესრულების მტკიცებულებები გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.

ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფუნქციები დელეგირებულია. სკოლის სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობის შესრულებაზე მითითებულია პასუხისმგებელი პირი მათი ფუნქციების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა -გრაფიკული გამოსახულება;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *საშტატო განრიგი;*
- *პირადი საქმეები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 ოქტომბრის N2-29 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. პერსონალის მართვის მექანიზმები, აგრეთვე, ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობაც დასაქმებულს დადასტურებული აქვს ხელმოწერით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსისა და დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესით, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო ადგილი, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, შრომის ანაზღაურების გაცემა, ზეგანაკვეთური სამუშაო, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები და სხვა. სკოლის საშტატო განრიგით არ არის განსაზღვრული დირექტორის მოადგილე. სკოლის დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. სკოლის დირექტორის ბრძანებით ასევე განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დროებითი შრომისუუნარობის მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ისინი უკავშირდებიან სკოლის დირექტორს, რის შემდეგაც ხდება მათი ჩანაცვლება იმავე კათედრის წევრით, საჭიროების შემთხვევაში ხდება საგაკვეთილო ცხრილის დროებითი ცვლილება.

ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით''. აღნიშნულს ითვალისწინებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც. ამავე დოკუმენტში გაწერილია კონკურსის გამოცხადების, კომისიის შექმნის და მისი საქმიანობის წესები, კონკურსის ეტაპები და სხვა. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება დადგენილი წესის შესაბამისად, გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. სკოლის სხვა პერსონალის შერჩევა ხორციელდება როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით, სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის N2-36 ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა პერსონალს წარმოდგენილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და აგრეთვე უფლებების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის საშტატო განრიგი, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა (Eschool), შესწავლილი იქნა პერსონალის მონაცემები, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში შექმნილ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები. რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

დაწესებულების ბიუჯეტით განსაზღვრულია თანხა პრემიებისთვის. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესები. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირება. დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის ოქტომბრის თვეში სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგებისა და ასევე ღვაწლმოსილი დამლაგებლისთვის მადლობის გამოცხადებისა და დაჯილდოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლას აქვს სადღესასწაულოდ დამატებითი თანხების გაცემით თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ.N2-29 15/10/2025;*
- *დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ბრძ. N2/36 15/10/2025;*
- *სკოლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ფულადი პრემიის გაცემის შესახებ.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის შეფასების და განვითარების მექანიზმებს (მუხლი 19; 20). დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული

განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალის შეფასება ხორციელდება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ფუნქციების შესაბამისად. მასწავლებლების შეფასება და განვითარება ხორციელდება ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებითა და უკუკავშირის მიცემით სპეციალურად შექნილი დაკვირვების ფორმის გამოყენებით. პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ტრენინგებისა თუ ვებინარების შესახებ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი აქტივობები და ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ინდიკატორი 3.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლების მიერ მოყვანილი მაგალითები ასახავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის არსებული პრაქტიკაც იმავეს ასახავს. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლის ხელოვნების მასწავლებელმა სკოლაში გაიარა მაძიებლობის პროგრამა, რომელიც შეფასდა დადებითად. გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, ახლად აყვანილ ბიბლიოთეკარს, სკოლამ დაუფინანსა სასერტიფიკატო ტრენინგი, რითაც ხელი შეუწყო მის პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგნილ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სოციალიზაციის პროცესს, ეტაპებსა და შესაბამის პროცედურებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება სკოლაში შექმნილი კეთილგანწყობილი გარემოს არსებობა და დოკუმენტით გათვალისწინებული "ოჯახის წევრობა".

ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, თანამშრომელთა მოტივირება, გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ წახალისებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე შესწავლილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფულადი პრემიის გაცემა.

ინდიკატორი 3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ.N2-29 15/10/2025;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;*
- *სკოლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება ფულადი პრემიის გაცემის შესახებ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ნოემბერს N2-45 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ხარისხის მართვა ეფუძნება დემინგის ციკლს და იგი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელია დირექტორი. მინიტორინგის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო გასული სასწავლო წლის ანგარიშებს სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, წარდგენილს დირექტორისადმი, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოსადმი.

ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსების მართვა; ზ) უსაფრთხოების დაცვა და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბერს N2-61 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი. ითვალისწინებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების

გასაჩივრების და საჩივრების განხილვის პროცედურებს. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირებას ითვალისწინებს სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეუძლიათ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ დმანისის სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიღებამდე და მას შემდეგაც, სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. დაწესებულებას ემსახურება ექთანი. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი.

ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *შინაგანაწესი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს თანამშრომლობისთვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელმოწერითაც პირი ადასტურებს თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მის მიერ დაკავებული პოზიციისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აცნობენ შინაგანაწესს. სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად იმართება შეხვედრები მშობლებთან, სადაც ხდება აზრთა გაცვლა. ტარდება ონლაინ გამოკითხვები. წარმოებული კვლევების/გამოკითხვების შედეგად სკოლამ მიიღო ერთკომპონენტიანი შეფასებიდან სამ კომპონენტიან შეფასებაზე დაბრუნების გადაწყვეტილება და მოაწყო სააქტო დარბაზი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლა, ასევე, აქტიურად იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა და სამეურვეო საბჭოები. მათი საქმიანობა დადასტურებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული შეხვედრების ოქმები. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი და მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში.

ინდიკატორი 3.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;*
- *მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომების ოქმები;*
- *მშობელთა გამოკითხვის შედეგები.*
- *გვერდი სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/boslebis.sajaro.sk.ola*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის**

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდით 82.12.41.958. აღნიშნულ ამონაწერში, სკოლის ტერიტორიაზე (8757 კვ.მ.) ფიქსირდება 6 შენობა-ნაგებობა. ფაქტობრივად, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სრულად რეაბილიტირებული 1 სასწავლო კორპუსი, საქვაბე და საწყობი. სკოლის ტერიტორიის ღობე კი ფიქსირდება გაცილებით მეტი ფართობის მქონე ტერიტორიაზე. როგორც დირექციასთან გასაუბრებით და საჯარო რეესტრის მონაცემების შესწავლით დადგინდა, სკოლის ფართობი ჩამოჭრილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, თუმცა არ მოხდა ტერიტორიის გამიჯვნა. საჯარო რეესტრის მონაცემებიც სწორედ მათი განაცხადის საფუძველზე შეიცვალა. სკოლის ღობე კი დარჩა შემოვლებული 2022 წლამდე სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართობზე. მონიტორინგის ვიზიტის მომენტისთვის სკოლის სარგებლობაში არსებული ტერირორია არ იყო შემოსაზღვრული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად.

სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლზე სკოლის მთელ ტერიტორიაზე. უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულება ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია 27 ვიდეო სამეთვალყურეო კამერა. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მაკონტროლებელი აპარატურა განთავსებულია ცალკე ოთახში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირი.

პირველადი ავტორიზაციის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. მონიტორინგის ვიზიტისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, გაცემული 2023 წლის 18 სექტემბერს, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისთვის.

პირველადი ავტორიზაციის დროს დაწესებულებისადმი გაცემული იყო რეკომენდაციები სკოლის შენობაში ევაკუაციის გეგმის გამოკვრისა და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენის შესახებ. მონიტორინგის ვიზიტისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი

საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სკოლის შენობაში, სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ, ასევე, ვერ წარმოადგნია, პირველადი ავტორიზაციის მომენტისთვის ან მის შემდეგ გაგზავნილი, მიმართვა უფლებამოსილი ორგანოსადმი სკოლის სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა **რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.

ხარვეზი: ვინაიდან, დაწესებულებას არ წარმოუდგენია დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ, სკოლის ტერიტორიის ფართობი არ არის შემოსაზღვრული საჯარო რეესტრიიდან ამონაწერის შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნყველყოფს სკოლის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და სკოლის ფართობის შემოსაზღვრას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - დეკემბერი, 2026),* ***მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება და სკოლის ტერიტორიის ფართობის შემოსაზღვრა საჯარო რეესტრიიდან ამონაწერის შესაბამისად.***

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 10 ოქტომბერს სკოლის დირექტორის №2-24 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლას ემსახურებოდა ექთანი, რომელიც აყვანილი იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ავტორიზაციის ვიზიტის ეტაპზე სკოლაში მოქმედებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ინვენტარით, გარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21

მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებული და პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყინულის ბუშტითა და საათით.

ხარვეზი: სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ არის სრულად აღჭურვილი, კერძოდ, არ შეიცავს ყინულის ბუშტსა და საათს.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, და ვიზიტის შემდგომ განხორციელებული აქტივობების მტკიცებულება. კერძოდ: ფოტო მასალა, რაც ამტკიცებს სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებით გათვალისწინებული და პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით- ყინულის ბუშტითა და საათით.

დაწესებულების პოზიცია და შესრულების მტკიცებულებები გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.

ინდიკატორი 3.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სასწავლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მასწავლებლები, კლასების დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექცია, დამრიგებლები, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო მშობლებთან ერთად უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად ატარებს საუბრებს მოსწავლეებთან ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა მაგალითად, აკრძალული ნივთებისა და ძვირადღირებული სამკაულების ტარება სკოლაში, თამბაქოს მავნე ჩვევებსა და მისი მოხმარების აკრძალვაზე სკოლაში, მობილური ტელეფონების მიზნობრივ გამოყენებაზე და სხვა.

ინდიკატორი 3.4.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სკოლა ახორციელებს ჰიგიენური საშუალებების შეძენას, ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა. შრომითი ხელშეკრულების თანახმად სკოლის ექთნის ფუნქციაა სკოლის სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი. დაწესებულებამ წარმოადგინა შემოწმების ოქმები.

ინდიკატორი 3.4.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 22 სექტემბერს სკოლის დირექტორის N2-14 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. სკოლა, ყოველწლიურად იღებს თანხმობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან პერსონალური მონაცემების, კერძოდ, ფოტო - ვიდეო გადაღებისა და მათი ინტერნეტ სივრცეში განთავსების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება ცალკე ოთახში - არქივში, რომელიც იკეტება. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას. დაწესებულება იცავს ელექტრონულ ინფორმაციას არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი 3.4.1.7. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმები განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის, განხორციელებული ღონისძიებების აღწერის, სკოლაში დაგვიანების აღმოფხვრისა და ცხელი ხაზის ნომრების გაცნობის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.8. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 28/06/2022;*
- *სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუტაციის უსაფთხოებაზე;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება სახანძრო უსაფთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი ბრძ.#2-14 22/09/2025* ;
- *ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1,2,3,4. 9/09/24; 30/12/2024; 08/01/2025; 20/06/2025;*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. ბრძ. №2-24 10/10/2025;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. თითოეულ კლასში განთავსებულია მერხები, სკამები, მასწავლებლის მაგიდა, დაფა და საჭირო სასწავლო ინვენტარი. სკოლის ეზოში არის

კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. შენობაში არის სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით. სპორტული ინვენტარი ინახება ცალკე ოთახში. სკოლაში მოწყობილია სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ოთახები, ოთახი, სადაც განთვსებულია კომპიუტერი ვიდეო კონტროლისთვის. სკოლის შენობაში მოწყობილია ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდით 82.12.41.958. აღნიშნულ ამონაწერში, სკოლის ტერიტორიაზე (8757 კვ.მ.) ფიქსირდება 6 შენობა-ნაგებობა. ფაქტობრივად, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სრულად რეაბილიტირებული 1 სასწავლო კორპუსი, საქვაბე და საწყობი. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ, როცა მოხდა სკოლის ტერიტორიაზე არსებული, ამორტიზებული შენობების დემონტაჟი, სკოლას არ მიუმართავს საჯარო რეესტრისთვის არსებული მონაცემების კორექტირების მიზნით. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტზე, ნაცვლად, "სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლისა" მოსარგებლედ ფიქსირდება "ბოსლების საჯარო სკოლა".

ხარვეზი: წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის კუთვნილი ინფრასტრუქტურის შესახებ არ შეესაბამება სკოლის ფაქტობრივ გარემოებებს.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის ტერიტორიის ახალი საკადასტრო გეგმის მომზადებას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - დეკემბერი, 2026), **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მოიყვანოს სკოლის კუთვნილი ინფრასტრუქტურის ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის. ყველა საერთო სარგებლობის სივრცეში განთავსებულია შესაბამისი სივრცის სარგებლობის წესი. სამასწავლებლო, სკოლის დერეფნები, ეზო, სპორტული მოედანი კეთილმოწობილია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა მოეწყო პირველადი ავტორიზაციის შემდეგ. იგი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. სკოლის წიგნად ფონდს 2024 და 2025 წელს შეემატა 49 ერთეული მხატვრული ლიტერატურა, ხუთი ხუთტომეული და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 2014 წელს თხოვების ხელშეკრულებით გადაცემული „სოფლის წიგნები“ 7415 ერთეული. ყველა საბიბლიოთეკო რესურსი აღრიცხულია. ხელმისაწვდომია ელექტრონული კატალოგი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ინდიკატორი 3.5.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას აქვს რესურს ოთახი, პანდუსი და ლიფტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შენობის ყველა სართულზე მოხვედრა. დაწესებულებაში, ყველა სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. შენობის მეორე სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე და აყვანილი ჰყავს სპეციალური მასწავლებელი.

ინდიკატორი 3.5.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს გამწვანებული და კეთილმოწყობილი ეზო. სპორტული დარბაზი და მოედანი. პირველადი ავტორიზაციის შემდეგ სკოლაში მოეწყო ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია მუსიკის ოთახი, აღჭურვილი შესაბამისი მუსიკალური ინვენტარით და ელექტრონული პიანინოთი. მუსიკის ოთახის გვერდით არის რეკრეაციული სივრცე, სადაც სკოლა გეგმავს კიდევ ერთი საერთო სივრცის - არაფორმალური განათლების კუთხის მოწყობას. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტული ღონისძიებების განხორციელება, კონკურსების გამოცხადება და ჩატარება მოსწავლეთა ინიციატივითა და სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ნახატების კონკურსი.

ინდიკატორი 3.5.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *სკოლის ბიბლიოთეკის კატალოგი;*
- *სკოლის ბიბლიოთეკარის ანგარიში;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

პირველადი ავტორიზაციის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. 2023 წელს დაწესებულებას გადაეცა 17 პორტატული კომპიუტერი და 3 პროექტორი. 2024 წელს დამატებით 8 პორტატული კომპიუტერი, ხოლო 2025 წელს 6 პორტატული კომპიუტერი. დირექტორის კაბინეტში, სამასწავლებლოში და კომპიუტერულ კლასში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები. სკოლის სარგებლობაშია პრინტერები. ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის.

ინდიკატორი 3.6.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული პირებისათვის. კომპიუტერულ ოთახში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს.

ინდიკატორი 3.6.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *ინვენტარიზაციის აქტი.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო სკოლის საქმის წარმოების წესს, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები. სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლა აწარმოებს პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეებს. აღნიშნულს არ ითვალისწინებს სკოლის საქმისწარმოების წესი.

რჩევა: სასურველია სკოლის საქმისწარმოების წესში გაიწეროს მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის N06/ნ ბრძანების „მოსწავლის პირადი საქმის ფორმის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" თანახმად და იმოქმედოს შესაბამისად.

ინდიკატორი 3.6.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის. სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (skolebi.emis.ge), დამოუკიდებელი ვებ გვერდი **boslebi.school.ge** და გვერდი სოციალურ ქსელში, რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდებისა და სოციალური ქსელის მართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სკოლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა მუდმივად აწარმოებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას. სკოლაში გამოყოფილია მშობელთა ვიზიტის დღე - პარასკევი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მოსვლა, მასწავლებელთან და დირექტორთან შეხვედრა და გასაუბრება. უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია ყოველთვის გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ორი მოქმედი ვებ გვერდი, რომლებზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge, განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები - მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და საფეხურის დაძლევის წესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები - შინაგანაწესი, წრის წესდება, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი www.skolebi.emis.ge*
- *სკოლის ვებ გვერდი **boslebi.school.ge***
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/boslebis.sajaro.sk.ola*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ასევე ექთნის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და სტატუსის შესაბამისად მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული თანხები. ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე სკოლაში მუშავდება საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც საბოლოო სახით განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დინამიკის შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები ასევე განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი 3.7.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი ყოველწლიურად განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ფინანსური წლის დასრულებისას მზადდება დეტალური ანგარიში, რომელსაც სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სკოლას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, ფინანსური რესურსები მიზნობრივად ნაწილდება როგორც სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის, ისე სხვა საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სკოლა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას ტვირთავს **Eplan** მოდულში. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვების გეგმა კორექტირდება არსებული მოთხოვნებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის სამოქმედო გეგმა 2025-2026;*
- *სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. შინაგანაწესი დამტკიცებულია სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N -2 სხდომაზე. სკოლას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს რიგი შიდა დოკუმენტები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის დირექციამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა უსაფრთხოების პოლიტიკა, მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და საფეხურის დაძლევის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. სკოლამ წარმოადგინა თანხმობების ფორმები, რომლებიც გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არსებობს რეფერირების წესი. საინფორმაციო დაფებზე გამოკულია: შინაგან საქმეთა სამინისტროს, მანდატურის სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველის, სოციალური მომსახურეობის ცენტრის, ინკლუზიური და სპეციალური განათლების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ტელეფონის ნომრები.

ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, გამოქვეყნებულია ვებ.გვერდზე (<u>შინაგანაწესი – Boslebi School</u>) და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც მითითებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ასევე, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და ზოგადი ქცევის წესები. ხელშეკრულება გაფორმებულია თითოეული მოსწავლის მშობელთან. სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პრესონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
   სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15ოქტომბრის N2-31 ბრძანებით. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის და საფეხურის დაძლევის შესახებ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან“. სტატუსის შეჩერების ფაქტი არ ქონია სკოლას. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები და შიდა დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდა, რომ პროცესები მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად ხორციელდება.
   რჩევა: სასურველია, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის შიდა წესიდან სკოლამ ამოიღოს რეგულაცია, რომელიც ეხება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტას სწავლის გადასახადთან დაკავშირებული ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში.
   ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**
   სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სკოლის მოსწავლეთა ბაზა, გარდა ამისა, მოსწავლის პირადი საქმეები, სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.
   ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოციალური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

   ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   ყველა სიახლე სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, მუდმივად განახლებადია და განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ვებ. გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რაც დასტურდება არსებული დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

   ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და საფეხურის დაძლევის შესახებ;*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები;*
- *ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N2-58 ბრძანებით). წესში გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. გაწერილია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისათვის.

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სასწავლო წლის დაწყების დღიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს საკლასო ოთახს, თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს. მასწავლებლებთან ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირველკლასელებსა და ახლადგადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებლები აცნობენ სასწავლო გარემოს, საკლასო ოთახებს, რეკრეაციულ სივრცეებს, სკოლის ეზოს. ასევე ხვდებიან მშობლებს, ინტერესდებიან მოსწავლის განწყობით და დამოკიდებულებებით, ზრუნავენ მათ ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლეები სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას იღებენ მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის დირექციის მხრიდან. მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები ყოველთვის წინასწარ არიან ინფორმირებული შემაჯამებელი წერების შესახებ, შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მშობლებისთვის განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაციას დამრიგებლები აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის მობილობა, ინფორმირება, ცნობის გაცემის ვადები დაცულია.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივით ხორციელდება პროექტები. მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს ჭადრაკის წრე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ეწყობა სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, ლაშქრობები. სკოლაში შექმნილია გოგონათა ფეხბურთის გუნდი.

ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიურების დროს მოსწავლეებმა, მშობლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ხვდებიან სკოლის დირექტორს საუბრობენ არსებულ საჭიროებებზე, მოსწავლეების სურვილებზე. სკოლის დირექციას, პედაგოგებს ესაუბრებიან საკუთარი ინტერესების შესახებ, რის შემდეგაც სკოლა ცდილობს და როგორც წესი ახორციელებს შესაბამის აქტივობებს. სკოლას ჩატარებული აქვს სასკოლო ანონიმური გამოკითხვა.

ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი (სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 დეკემბრის N2-58 ბრძანებით დამტკიცებული);*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის განვითრებას. კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. მოსწავლეები ავსებენ პროფესიული ორიენტაციის კითხვარებს. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. სკოლის დირექციამ წარმოადგინა წერილი პროფესიული პროგრამების დამატების მოთხოვნის თაობაზე. სკოლას განხორციელებული აქვს მოსწავლეთა ვიზიტები შვეიცარიულ აგრარულ სკოლაში, სადაც მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: „რძის პროდუქტების წარმოება“, „ფერმერი“.

ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლის დირექტორმა, მასწავლებლებმა, მშობლებლმა და მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალ საფეხურზე გადასვლისას სკოლა ხვდება და აწვდის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, როგორც ცალკე მოსწავლეებს, ასევე მშობლებსა და მოსწავლეებს ერთობლივად.

ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის გაუმჯობესებაზე და შეფასებასა და უკუკავშირს იყენებს მომსახურეობის გაუმჯობესების პროცესში. სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირი ხშირად ხორციელდება ზეპირი სახით ინფორმაციის გადაცემით ან მასწავლებლების დაკვირვების შედეგად. სკოლის მიერ

შეთავაზებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები დადებითად იყო შეფასებული მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან.
რჩევა: სასურველია, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლამ აწარმოოს პერიოდული გამოკითხვა, შედეგების ანალიზის დოკუმენტირება და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეადგინოს მომდევნო წლის გეგმა.
ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შიდა აქტივობებისა და სასწავლებლებში ვიზიტების ამსახველი მასალები;*
- *სადამრიგებლო პროგრამები.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დამტკიცებულიასსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის N 2-60 ბრძანებით. სკოლაში ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე. ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება რესურს ოთახში. წლის დასაწყისშივე დგება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ხოლო წლის ბოლოს კეთდება მისი შესრულების ანგარიში. სკოლაში ყოველწლიურად ხდება ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგი და შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იწერება შესაბამისი დასკვნა, რომელიც სკოლის მიერ იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები, ისგ ჯგუფის ოქმები, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და სხვა.
ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში შექმნილია სსსმ მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო. რესურსოთახები მოწყობილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო მასალით. სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლე. მისთვის დაკომპლექტებულია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორს საგნების მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი, ისე მოსწავლის მშობელი. ისგ ჯგუფი იკრიბება წელიწადში 4-ჯერ და განიხილავს სსსმ მოსწავლის სწავლების სტრატეგიებს, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექციის ორგანიზენით გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სსსმ მოსწავლის მშობელთან, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში მშობლის ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

ხარვეზი: მონიტორინგის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლაში არ არის დასაქმებული „ენისა და მეტყველების სპეციალისტი“. სკოლას არ გამოუცხადებია ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე, რომლის აყვანის ვალდებულება მას დაკისრებული აქვს სკოლის სსსმ მოსწავლის შეფასების შედეგად.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ენისა და მეტყველების სპეციალისტის მომსახურების უზრუნველყოფას გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (იანვარი, 2026 - სექტემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს მოსწავლის შეფასების შედეგად დაკისრებული ვალდებულების შესრულება და ენისა და მეტყველების სპეციალისტის მომსახურების მიწოდება სსსმ მოსწავლისთვის.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები;*
- *ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები და ისგ ჯგუფის ოქმები;*
- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;*
- *ანგარიში ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულებაზე;*

- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის დასკვნა;*
- *სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკის წრეს. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების მომსახურებასაც, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. აღნიშნულ მომსახურებას არ სჭირდება მარეგულირებლის მხრიდან თანხმობა.

   ინდიკატორი 4.2.4.1. აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

   ინდიკატორი 4.2.4.2. აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების განუხრელ შესრულებას უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

   ინდიკატორი 4.2.4.3. აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ჭადრაკის წრის წესდება*
- *ტრანსპორტის სერვისის მიწოდების განრიგი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 03/02/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: